



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 96

2011 წლის 22 ივლისი
ქალაქი ხაშური



საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 18 ივლისს (სატენდერო განცხადება (SPA 110018989) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 22 ივლისს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავის მიწოდება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მისაწოდებლად საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

